ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821020101**
თარიღი: **20/01/2021**
პინი: **9528**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 18 იანვრის N06-4821018136 წერილით ირკვევა, რომ შპს „გაბ სოლუშენს“-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული N166 ხელშეკრულების შესაბამისად, მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პლასტმასის 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერების მიღება-ჩაბარება, ღირებულებით 54 000 ლარი, ითხოვს კონტეინერების ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის” გადაცემას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 106[1]-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართვათ თხოვნით საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, მოგვცეთ თანხმობა, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას'' საკუთრებაში გადაეცეს 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელთა ღირებულება შეადგენს 54000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარს.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ( +995) 595 95 90 72 ელ.
ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM

**ადრესატი:**

გრიგოლ იოსელიანი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**06-4821018136**
თარიღი: **18/01/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გრიგოლ იოსელიანს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის

სამსახურის უფროსის გრიგოლ ყურაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გრიგოლ,

შპს „გაბ სოლუშენს"-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული #166 ხელშეკრულების შესაბამისად, მოვახდინეთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პლასტმასის 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერების მიღება-ჩაბარება, ღირებულებით 54000 ლარი.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული კონტეინერების ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის" გადაცემა.

პატივისცემით,

გრიგოლი ყურაშვილი

ზედამხედველობის სამსახური-სამსახურის უფროსი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821020101; 20/01/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 54 000 ლარი) საკუთრებაში გადაცემას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1] მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას“ საკუთრებაში გადასცეს 54 000 ლარის ღირებულების 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

125

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 29 იანვრის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821020101; 20/01/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 54 000 ლარი) საკუთრებაში გადაცემას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას“ საკუთრებაში გადასცეს 54 000 ლარის ღირებულების 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

126

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2021 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821020101; 20/01/2021) წერილი, რომელშიც ითხოვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 54 000 ლარი) საკუთრებაში გადაცემას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106[1] მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას“ საკუთრებაში გადასცეს 54 000 ლარის ღირებულების 100 (ასი) ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე — მურმან შალამბერიძე